იოჰანეს ფონ ჰილდესჰაიმი, ა. თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში : XII-XVI საუკუნეთა ისტორიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე,- თბილისი, 2004.

იოჰანეს ფონ ჰილდესჰაიმი (1310/1320-1375) - გერმანელი კარმელიტი ბერი, კათოლიკე თეოლოგი. ავტორი წიგნისა - Liber de gestis ac trina beatissimorum trium regum translatione - წიგნი სამ წმინდა მეფეზე.

ქართველების შესახებ

ქართველები [Georgiani] ეწოდებათ ხალხს ზედა საქართველოს სამეფოდან. მათ ბერძნების მსგავსი წეს-ჩვეულებები აქვთ. როდესაც სახლისკენ [სამშობლოსაკენ] მიემგზავრებიან, იკვრებიან დიდ რაზმებად, როგორც ფრიზები ან უნგრელები. აქვთ წმინდა გიორგის დროშა [დროშა წმინდა გიორგის გამოსახულებით], არიან მძლავრი ქრისტიანები. ცხოვრობენ ქალაქთან, რომელსაც მექა ჰქვია, სადაც მუჰამედის ცხედარია დასვენებული, ყველა წარმართის მეთაური და ცრუ წინასწარმეტყველი რომ იყო. ამ ქართველებს აქვთ საკუთარი ენა და ჰყავთ აგრეთვე არქიეპისკოპოსი, რომელიც სინას მთაზე წმინდა კატერინას მონასტერში ცხოვრობს. მას ემორჩილებიან ყველანი [ქართველები], ისევე, როგორც ჩვენ ვემორჩილებით აქ, ჩვენ სულიერ მამას, პაპას. მათ აქვთ წმინდა ანტონიუსის და მაკარიუსის ორდენები. სულთანის ქვეყანაში თავისუფლად მგზავრობენ და არც ბაჟს იხდიან, თითქოს მათი საკუთარი ქვეყანა იყოს. თუმცა ისინი [ქართველები] უფრო მეგობრულნი და კეთილგანწყობილნი არიან, ვიდრე სხვა წარმართები და სადაც არ მიდიან ან მიემგზავრებიან ამხედრებულნი, მღერიან სასულიერო ჰიმნებს სამი წმინდა მეფის {სამი მოგვის] შესახებ, მათ ცხოვრებასა და ღვაწლზე.

იმავე ქვეყანაში [საქართველოში] არის ერთი სხვა ქვეყანა [მხარე], რომელსაც ჰაიმისე ჰქვია და ხუთი მილის სიგრძე-სიგანე აქვს. ამ მხარეზე ერთი მდინარე მიედინება. ამ მხარეში ისეთი სიბნელე და წყვდიადია, იმგვარადაა სავსე ნისლით,

რომ არც საღამოს, არც რომელიმე დღეს და არც საერთოდ წლის განმავლობაში მზე არ იხილვება. იქ [საქართველოში] მცხოვრები ხალხი ამბობს, რომ არც არავინ შესულა იმ მხარეში და არც იქიდან გამოსულა ვინმე, მიუხედავად იმისა, რომ აქეთა [საქართველოს] და იქეთა მხარეს[ნისლით დაფარული ქვეყანა] შორის მხოლოდ ერთი ისრის გასროლა მანძილია. გარშემო [ნისლიანი მხარის ირგვლივ]ნაყოფიერი ქვეყანაა. [ის მხარე] იმდენად ბნელია და იმგვარადაა სავსე ნისლით, რომ არავის შეუძლებელია არც შესვლა და არც გამოსვლა. მაგრამ იქიდან ისმის ხოლმე ადამიანთა ხმები, მამლების ყივილი და ცხენების ჭიხვინი, აგრეთვე იქიდან გამომავალ მდინარესაც ატყვია ადამიანთა ცხოვრების კვალი.

ვკითხულობთ, რომ იმ დროს, როდესაც წარმართთა წინასწარმეტყველი მუჰამედი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, რომაელთა იმპერატორი გახლდათ ჰერაკლე. იმპერატორი ყველა ქრისტიანს აკვლევინებდა. მაშინ ბევრი ქრისტიანი [იგულისხმება, რომ ქართველებზეა ლაპარაკი] მთებში გაიქცა. წარმართები მოვიდნენ და ალყაში მოაქციეს ქრისტიანები, რომელთაც მთაზე ეპოვათ თავშესაფარი, მაგრამ გასაქცევი არსაით ჰქონდათ. მაშინ ქრისტიანებმა შველა სთხოვეს ღმერთს და სამ წმინდა მეფეს, რომელთაც ასე აფასებენ აღმოსავლეთში, რომ ღმერთი მათ [ქართველ ქრისტიანებს] სამი წმინდა მეფის ღვაწლის და დამსახურებათა გამო დახმარებოდა. მათ მიიღეს ნანატრი შველა. წარმართები თავიანთი ცოლებით, ბავშვებით და პირუტყვით აღმოჩდნენ იმ ადგილას, საიდანაც ცოტა ხნის წინ ქრისტიანები გაიქცნენ. მაშინ ის მხარე [ის ადგილი, სადაც წარმართები იყვნენ] ბნელმა ნისლმა და წყვდიადმა დაფარა ისე, რომ მას მერე არც იქიდან გამოსულა ვინმე და არც აქედან შესულან შიგნით ადამიანები.

ქართველები ერთად [რაზმებად] მოგზაურობენ, როგორც ფრიზები, დროშებით, რომლებზეც სამი წმინდა მეფეა გამოსახული [მოსაგონრად ამ დღისა], როდესაც ღმერთმა ისინი თავისი მოწყალებით გამოიხსნა.[1]

მთარგმნელი ა. თვარაძე

[1] გვ. 166-167.

K 21449/4

ალექსანდრე თვარაძე

საქართველო და კავკასია

ევროპულ წყაროებში